სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

ღვინის ეროვნული სააგენტო: რთველის ჩაშლის მცდელობა საბოტაჟის ფორმას იღებს
„მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივმა კლიმატურმა პირობებმა უკვე შეამცირა მოსავლის ოდენობა და ხარისხი, მცდელობამ ხელი შეუშალონ და ჩაშალონ რთველი, მიიღო საბოტაჟის ფორმა, რამაც, შესაბამისად, გააჩინა ეჭვი, რომ ეს პროცესი არის მართვადი", აცხადებს ღვინის ეროვნული სააგენტო. სააგენტომ დღეს განცხადება გაავრცელა, რომ „ინფორმაცია ყურძნის ფასის შემცირების შესახებ გავრცელდა და გამოიწვია უკმაყოფილება და პროტესტი მევენახეებში". თუმცა, „ფასი ძალიან მაღალია და აღწევს ისტორიულ მაქსიმუმს მოსავლის აღების პერიოდში", აღნიშნავენ სააგენტოში. გარდა იმისა, რომ „ფასი საფერავზე (წითელი ყურძნის ჯიში) გაიზარდა 50%-ით გასულ წელთან შედარებით, მოსახლეობას საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით არანაირი პრობლემა არ ექნება გაყიდოს დაზიანებული ყურძენიც კი, ასე რომ პროტესტი და რთველის დაგვიანებით დაწყება მევენახეების მხრიდან გაუმართლებელია", აღნიშნავენ სააგენტოში. ამავე დროს, სააგენტომ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მაღალი ფასი (2,35 ლარი 1 კგ-ზე) რამდენიმე დღის წინ დაფიქსირდა საფერავზე, ფასი მოგვიანებით შემცირდა და დაახლოებით 1,5 ლარია. სააგენტოში აღნიშნეს, რომ ყურძნის მაღალი ფასი ზრდის წარმოებული ღვინის ფასს და ამით მცირდება კონკურენტუნარიანობა. ასე რომ, ღვინის მწარმოებლებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რამდენი ყურძენი უნდა შეიძინონ და რა ფასად. სააგენტოს თქმით, ხელისუფლება ვერ ჩაერევა ფასების რეგულირების პროცესში: „უნდა აღინიშნოს, რომ ის დრო, როცა ხელისუფლება უხეშად ერეოდა რთველის მიმდინარეობაში, განსაზღვრავდა ყურძნის ფასს და კონკურენციას უწევდა კერძო სექტორს, დასრულდა საქართველოში". და ბოლოს, სააგენტომ მოუწოდა მევენახეებს, რომ გააგრძელონ რთველი დადგენილ ვადებში და ხელი არ შეუშალონ პროცესს, რადგანაც „ყოველი დამატებითი დღე უარყოფით გავლენას ახდენს ყურძნის ხარისხზე, რაც აისახება ფასზეც". მიუხედავად ამ მოვლენებისა, სააგენტოს ინფორმაციით, გუშინდელი მონაცემებით რთველის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს და 1 700 ტონა ყურძენი მუშავდება.
DAILY NEWS, 3 სექტემბერი, 2014

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ჩინეთი 20-25 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას მოახდენს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოფლის მეურნეობაში
ჩინეთი აპირებს 20-25 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას სოფლის მეურნეობის სექტორში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შესაბამისი მემორანდუმი გაფორმდა დღეს ქართული დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში ჩინეთში. მემორანდუმი ითვალისწინებს ინვესტიციებს სოფლის მეურნეობის კულტურების, თევზჭერის, მეცხოველეობის, მეჩაიეობის, სამაცივრე საწყობების, ინფრასტრუქტურის განვითარების და აგრო-ტურიზმის სფეროებში, განაცხადეს სამინისტროში. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაცია შეხვდა ჩინეთის განვითარების ბანკის რეგიონულ მენეჯერს. იჯარის, სოფლის მეურნეობის კრედიტების და საკონსულტაციო მომსახურების განხილვისას მხარეებმა ხაზი გაუსვეს ჩინური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს ამ სფეროებში, აცხადებენ სამინისტროში.
DAILY NEWS, 3 სექტემბერი, 2014

საკვების და უალკოჰოლო სასმელების ფასები კვლავ გაიზარდა
საქსტატის მონაცემებით, ინფლაცია აგვისტოში იყო 3,4% 2013 წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა წლიურ ინფლაციაზე ჰქონდა სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე ფასების ზრდას 6,4%-ით. გარდა ამისა, ფასები გაიზარდა ტრანსპორტის (2,8%) და ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს (5,4%) ჯგუფებში. ივლისთან

შედარებით (ანუ წინა თვესთან შედარებით) ინფლაციამ შეადგინა 0,5%. ფასები გაიზარდა საკვების და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე 2,7%-ით, მაგრამ შემცირდა ჯანდაცვაზე 1,6%-ით. შედარებისთვის წლიური ინფლაცია ივლისში იყო 2,8%. საკვების და უალკოჰოლო სასმელების ფასები გაიზარდა 3,4%-ით, ჯანდაცვის - 4,7%-ით, ხოლო ტრანსპორტის - 3,6%-ით. წინა თვესთან (ანუ ივნისთან) შედარებით, დეფლაცია იყო 0,6% ივლისში. სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები შემცირდა 2,1%-ით, ხოლო ფასები ჯანდაცვის სფეროში გაიზარდა 0,7%-ით.
DAILY NEWS, 3 სექტემბერი, 2014

რეზონანსი: „დამწვარი მზესუმზირა და სასოწარკვეთილი ფერმერები"
სტატიის მიხედვით კახეთში მზესუმზირის ნარგავების დაახლოებით 50% დაიწვა გვალვის გამო. ზოგიერთმა ფერმერმა ისიც კი გადაწყვიტა, რომ არ შეეყვანა მოსავლის ასაღები კომბაინები პლანტაციებში, წერს გაზეთი. ავტორი მიუთითებს, რომ ფასი მზესუმზირაზე უკვე გაიზარდა და მიაღწია 80 თეთრს ყოველ 1 კგ-ზე. რაც შეეხება კოპტონის ფასს, ის გაიზარდა და მიაღწია 3 ლარს 1 კგ-ზე. მზესუმზირის ზეთის ფასებთან დაკავშირებით, ავტორი აღნიშნავს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ზეთი არის ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი, მას კონკურენციას უწევს უკრაინული და რუსული ზეთი" და დასძენს: „თუ ფასი იმპორტირებულ ზეთზე დარჩება იგივე, ადგილობრივი ზეთის ფასი არ გაიზრდება".
ECONOMIC PRESS MONITOR, 3 სექტემბერი, 2014

სალთვისი-ტირიფონის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დასრულებულია
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით სალთვისი-ტირიფონის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები გახორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. პროექტის ღირებულება, რომელიც დააფინანა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), აღემატება 14 მილიონ ლარს. სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ამ პროექტის დასრულების შემდეგ, შიდა ქართლის რეგიონში კონფლიქტის ზონის ახლოს 18 000 ოჯახი 39 სოფელში ისარგებლებს გაუმჯობესებული სარწყავი სისტემით 20 000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. სამუშაოები ჩაატარა შპს მშენებელი-80-მა.
DAILY NEWS, 2 სექტემბერი, 2014

ზამთრის და საგაზაფხულო ნათესები გაიზარდა 3,8%-ით ამ წელს
საქსტატის წინასწარი ინფორმაციით ზამთრის და საგაზაფხულო ნათესების საერთო ფართობმა ამ წელს 322 500 ჰა შეადგინა. 2013 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაიზარდა 3,8%-ით. ამასთან, ზამთრის ნათესებმა (ხორბალი, ქერი და ჭვავი) შეადგინა 58 200 ჰა (წლიური ზრდა - 10,86%), ხოლო საგაზაფხულო ნათესების ფართობმა - 264 300 ჰა (ზრდა - 2,36%). დაზუსტებული წლიური მონაცემები გამოქვეყნდება 2015 წლის ივნისში.
DAILY NEWS, 2 სექტემბერი, 2014

კვერცხის და რძის წარმოება გაიზარდა, ხოლო ხორცის წარმოება შემცირდა მეორე კვარტალში
საქსტატის წინასწარი მონაცემების თანახმად ქვეყანაში კვერცხის წარმოებამ მიაღწია 114,6 მილიონს მე-2 კვარტალში. 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მოცულობა გაიზარდა 9,38%-ით. რძის წარმოებამ მიაღწია 221,7 მილიონ ლიტრს (წლიური ზრდა - 5,92%), ხოლო ხორცის წარმოებამ - 9 100 ტ-ს (კლება - 17,27%). 1 ივნისისთვის საქონლის რაოდენობამ შეადგინა 1,39 მილიონი (ზრდა - 6,65%). ეს რიცხვი მოიცავს 641 300 კამეჩს (ზრდა - 3,19%). ღორების რაოდენობამ შეადგინა 210 000 (კლება - 34,5%), ხოლო ცხვრის და თხის რაოდენობა არის 1,16 მილიონი (ზრდა - 10,6%). ფრინველის რაოდენობამ მიაღწია 12,13 მლნ-ს (ზრდა - 13,59%).
DAILY NEWS, 2 სექტემბერი, 2014

სასათბურე მეურნეობა დაარსდება გარდაბანში პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში

პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გარდაბნის რაიონში (ქვემო ქართლის რეგიონი) სს საქართველოს სათბურის კორპორაციისთვის გადაცემის შესახებ. პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში კომპანიამ შეიძინა 350 000 კვადრატული მეტრი ფართობი 1 ლარად. ქონების პრივატიზების პირობები მოიცავს მაღალ-ტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობების შექმნას და წარმოების დაწყებას 2 წლის განმავლობაში ბრძანების გამოცემიდან. გარდა ამისა, საქართველოს სათბურის კორპორაციამ უნდა განახორციელოს მინიმუმ 9,8 მილიონი ლარის ინვესტირება წარმოების დაწყებამდე. ამ თანხის მინიმუმ 25% უნდა ჩაიდოს 1 წლის განმავლობაში ბრძანების გამოცემიდან. კომპანიამ უნდა აამოქმედოს სასათბურე წარმოება მინიმუმ 2 წლის განმავლობაში და აწარმოოს მინიმუმ 1 500 ტონა ბოსტნეული ამ პერიოდში. ამავე დროს, ამ მოცულობის არანაკლებ 25%-ის წარმოება უნდა მოხდეს პირველ წელს, ხოლო 50%-ის - მეორე წელს. კონტრაქტის გაფორმებამდე საქართველოს სათბურის კორპორაციამ უნდა წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია აღნიშნული ინვესტიციების მოცულობის არანაკლებ 10%-ის ოდენობით.

DAILY NEWS, 1 სექტემბერი, 2014

აგროდაზღვევის პროგრამაში ამჟამად 5 კომპანია არის ჩართული

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ და კომპანიებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აგროდაზღვევის პროგრამაში (GPI Holding, ალდაგი, ირაო და ქართუ) ხელი მოაწერეს მემორანდუმს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით ბენეფიციარმა უნდა გადაიხადოს სადაზღვევო პრემიის ნაწილი პოლისის გაცემისას, ხოლო სააგენტო გადაიხდის დარჩენილ ნაწილს. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსება სადაზღვევო პრემიაში არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს კერძო პირების და 50 000 ლარს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ აგროდაზღვევა ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურებას სეტყვის, ჭარბი ნალექის, ქარიშხალის და შემოდგომაზე ყინვის შემთხვევაში. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 5 მილიონ ლარს. პროგრამა დაიწყო საპილოტე რეჟიმში დღეს და გაგრძელდება ერთი წლის განმავლობაში.

DAILY NEWS, 1 სექტემბერი, 2014

ფერმერი აგროდაზღვევის ბაზარზე

1-წლიანი აგროდაზღვევის საპილოტო პროგრამა დაიწყო 1 სექტემბერს, რაც ითვალისწინებს ფერმერთა რისკების თანადაფინანსებას. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 5 მილიონ ლარს. სადაზღვევო პოლისის გაცემის ბოლო ვადაა 31 აგვისტო, 2015 წელი. სახელმწიფო აგროდაზღვევაში ჩართულია სადაზღვევო კომპანიები „ალდაგი“, „GPIH“ და „აი-სი“ ჯგუფი. აქამდე მხოლოდ პირველი ორი კომპანია სთავაზობდა აგროდაზღვევას ადგილობრივ ბაზარზე. საქართველოს სადაზღვევო ინსტიტუტის პრეზიდენტ გიორგი გიგოლაშვილის თქმით მხოლოდ 2 000 ფერმერი იყო დაზღვეული 2013 წელს, ამჟამად მათი რაოდენობა შეადგენს 600 000-ს. პირობების მიხედვით პილოტური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 70%-დან 95%-მდე დაზღვევის ღირებულების დაფარვა მოხდება. მთავრობა აანაზღაურებს 30 000-მდე ლარს ფიზიკური პირების და 50 000 ლარს აგრარული კოოპერატივებისთვის. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ამჟამად ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია აგროდაზღვევის შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სადაზღვევო კომპანია დაიწყებს საინფორმაციო კამპანიას სექტემბრიდან. პროგრამას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

ECONOMIC PRESS MONITOR, 1 სექტემბერი, 2014

სოფლის მეურნეობის დაზღვევის საპილოტე პროგრამა 1 სექტემბერს დაიწყება

ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაიწყოს სოფლის მეურნეობის დაზღვევის საპილოტე პროგრამა 1 სექტემბერს. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა მთავრობის

სხდომაზე დღეს პროგრამა განხორციელდება სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მიერ და დარჩება საპილოტე რეჟიმში 2015 წლის 1 სექტემბრამდე (ანუ ერთი წლის განმავლობაში). მინისტრმა განაცხადა, რომ სადაზღვევო ღირებულების 70%-დან 90%-მდე იქნება სუბსიდირებული, მიაღწევს რა რიგ შემთხვევებში 95%-საც კი. პროგრამის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ის სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც პრიორიტეტს სოფლის მეურნეობის დაზღვევას ანიჭებენ, ბიუჯეტი 5 მილიონ ლარს შეადგენს. პროგრამის პირობების მიხედვით ანაზღაურება დაზღვეულ ფერმერზე შემოიფარგლება 30 000 ლარით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის - 50 000 ლარით.
DAILY NEWS, 14 აგვისტო, 2014

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: მოთხოვნა ყურძენზე აღემატება შეთავაზებას
სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი შეფასებით, მოთხოვნა რქაწითელზე (თეთრი ყურძენი) შეადგენს 99 000 ტონას, ხოლო სავარაუდო მოსავალი შეადგენს 96 000 ტ-ს. სამინისტროს განმარტებით ღვინის მწარმოებელი კომპანიების წინასწარი მოთხოვნა სულ 60 000 ტონაა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიები აპირებენ 10 000 ტონა ამ ჯიშის ყურძნის გადამუშავებას, ხოლო მოსახლეობა მოიხმარს 29 000 ტ-ს. მეღვინეობის კომპანიების განცხადებები საფერავის ჯიშის (წითელი ყურძნის) ყურძენზე სულ 50 000 ტონაა, ხოლო მოსავალი სავარაუდოდ 30 000 ტონა იქნება მხოლოდ. შეგახსენებთ, რომ მთავრობამ გადაწყვიტა გააგრძელოს რთველის სუბსიდირება წელს და გადაიხდის 0,35 ლარს ყოველ 1 კგ რქაწითელზე და 0,15 ლარს ყოველ 1 კგ საფერავზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მთავრობის სხდომაზე ამა წლის 7 აგვისტოს.
DAILY NEWS, 14 აგვისტო, 2014

დანელია: ჩვენ გვჭირდება სურსათის ძლიერი ეროვნული სააგენტო
სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია აცხადებს, რომ „ჩვენ გვჭირდება ძალიან ძლიერი სურსათის ეროვნული სააგენტო", ასე რომ სააგენტოს ოფისები გაიხსნება ყველა რეგიონში. სამინისტრო ქმნის სურსათის უვნებლობის სისტემას ევროკავშირის დახმარებით. დანელია აცხადებს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო დაიწყებს ბიზნეს-ოპერატორების შემოწმებას ევროპული სტანდარტების შესაბამისად ეტაპობრივად. „თუ ჩვენ დავიწყებთ სურსათის უვნებლობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ფართომასშტაბიან და 100%-იან აღსრულებას, ეს იქნება ძალიან მტკივნეული ბიზნესისთვის", აცხადებს მინისტრი (გამოქვეყნდა 13 აგვისტოს).
ECONOMIC PRESS MONITOR, 14 აგვისტო, 2014

5 თვის განმავლობაში 158 კოოპერატივი დაარსდა
სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ 158 აგრარული კოოპერატივი რეგისტრირებულ იქნა 6 მარტის შემდეგ. ეს კოოპერატივები აერთიანებს 1 305 წევრს, მათ შორის 297 ქალს, განაცხადა მინისტრმა დღეს პრესასთან შეხვედრის დროს პროექტის "საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის" ფარგლებში. ამ კოოპერატივების წევრების ფიქსირებულმა შენატანებმა შეადგინა 3,52 მილიონი ლარი. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ აპირებს გადასცეს 1 700 კულტივატორი და 2 000 ხელის სათესი მოწყობილობა კოოპერატივებს მათი საწყისი ღირებულების 23%-ად. შეგახსენებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა შეღავათებს, მიენიჭა მეასე კოოპერატივს დაახლოებით ერთი თვის წინ.
DAILY NEWS, 13 აგვისტო, 2014

54 სამელიორაციო სისტემისა და ობიექტის რეაბილიტაცია მიმდინარეობს ან იგეგმება 2014-2015 წლებში
სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ 54 სამელიორაციო სისტემის და ობიექტის რეაბილიტაცია მიმდინარეობს ან დაგეგმილია 2014-2015 წლებისთვის. მისი

თქმით საირიგაციო სამუშაოები განხორციელდა 88 448 ჰა-ზე (ზრდა 2013 წლიდან - 29,31%), ხოლო სადრენაჟო სამუშაოები - 31 848 ჰა-ზე (ზრდა - 24,68%). როგორც მინისტრმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა, სასმელი წყლის ახალი რეზერვუარების მშენებლობა მიმდინარეობს გარდაბანში, მარნეულში (ორივე - ქვემო ქართლის რეგიონი), კასპში, ქარელში (ორივე - შიდა ქართლის რეგიონი), ხოლო წყალსაცავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს დუშეთში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), დედოფლისწყაროში (კახეთის რეგიონი) და ა.შ. შეგახსენებთ, რომ 2015-2020 წლების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს მთლიანობაში 278 000 ჰა ფართობის ირიგაციას.
DAILY NEWS, 13 აგვისტო, 2014

ატმის ექსპორტმა 4 265 ტონა შეადგინა 7 თვის განმავლობაში
სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ „ატმის ექსპორტი ძალიან დიდი მოცულობისაა და 4 000 ტონას აღემატება". „ჩვენ გვქონდა ერთი ფანჯრის პრინციპი, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას ყველა საჭირო დოკუმენტაცია მიიღოს ერთ ადგილზე, რაც აჩქარებდა პროცესს", განაცხადა დანელიამ დღეს პრესასთან შეხვედრისას პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის" ფარგლებში. მინისტრმა აღნიშნა, რომ „ყველა ის სტანდარტი და ნორმა, რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოს და რუსეთის მხარეს შორის ფიტოსანიტარული თვალსაზრისით, დაცულ იყო". „თუ ჩვენ განვახორციელებთ იგივე ზომებს მომავალ წელს, ეს დარგი ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც მეღვინეობა", განაცხადა მან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 აგვისტოს მონაცემებით ატმის ექსპორტმა შეადგინა 4 265 ტ, რაც ორჯერ აღემატება 2013 წელს ამავე პერიოდში არსებულ დონეს. საქართველოდან განხორციელებული ატმის ექსპორტში რუსეთი ითვლის 48%-ს, აზერბაიჯანი - 32%-ს, ყაზახეთი - 14%-ს, უკრაინა და სომხეთი - 3%-ს თითოეული.
DAILY NEWS, 13 აგვისტო, 2014

2014 წლის ყურძნის მოსავლის პროგნოზი 126 000 ტონაა
სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ ყურძნის მოსავალი წელს მიაღწევს 126 000 ტ-ს. ამასთან, რქაწითელის (თეთრი ყურძნის) მოსავალმა უნდა შეადგინოს 96 000 ტონამდე, ხოლო საფერავის (წითელი ყურძნის) – 30 000 ტ. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო სუბსიდია რქაწითელზე 0,35 ლარია ყოველ 1 კგ-ზე, ხოლო საფერავზე - 0,15 ლარი. შეგახსენებთ, რომ მთავრობამ დაამტკიცა რთველის სუბსიდირება 7 აგვისტოს შეხვედრაზე. „თუმცა, სუბსიდირება მომავალ წელს, როგორც მოსალოდნელია, არ უნდა განხორციელდეს", განაცხადა დანელიამ პრესასთან შეხვედრის დროს დღეს პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის" ფარგლებში. მინისტრმა აღნიშნა, რომ სუბსიდირება არ იყო დაგეგმილი ამ წელს ასევე, მაგრამ საბოლოოდ „გადაწყდა, რომ ამ დარგის სტიმულირება მომხდარიყო." მომავალ წელს ეს პოლიტიკა გადაიხედება, აღნიშნა მან. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, 91 052 ტონა ყურძნის გადამუშავება მოხდა კახეთის რეგიონში (მევენახეობის მთავარ რეგიონში). თუმცა, საქსტატმა სხვა ინფორმაცია გაავრცელა კახეთის შესახებ, რომლის თანახმად 129 500 ტ მოსავალი იყო აღებული და გადამუშავებული რეგიონში. სულ მოსავალმა 2013 წელს შეადგინა 222 800 ტ, მათ შორის 36 000 ტ მოვიდა იმერეთის რეგიონში და 18 700 ტ შიდა ქართლში.
DAILY NEWS, 13 აგვისტო, 2014

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთს შეუძლია ექსპორტზე 120 000 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტის გატანა რუსეთში 2015 წელს

სომხეთს შეუძლია სოფლის მეურნეობის ექსპორტი რუსეთში 100-120 000 ტონამდე გაზარდოს მომავალ წელს, დაახლოებით 64-65 000 ტონასთან შედარებით ამ წელს, რუსეთის ბოლოდროინდელი ემბარგოს გათვალისწინებით, განაცხადა სომხეთის ადგილობრივი მწარმოებლების კავშირის ხელმძღვანელმა ვაზგენ საფარიანმა. მაგრამ გადამწყვეტი ზომები უნდა იქნას მიღებული ამის უზრუნველყოფისთვის, განაცხადა მან პრესკონფერენციაზე სამშაბათს. ექსპერტის თქმით, ინვესტირება უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობაში და სასათბურე მეურნეობებში. კერძოდ, თავისუფალი ეკონომიკური ზონები უნდა შეიქმნას საზღვრისპირა სოფლებში, სოფლის სესხები უნდა იყოს სუბსიდირებული და საგადასახადო ტვირთი უნდა შემცირდეს მწარმოებლებისთვის, განაცხადა მან. ამჟამად არსებობს 140 000 მიწის ნაკვეთი ქვეყანაში და უნდა შეიქმნას აგრარული კოოპერატივები, რათა უზრუნველყოფილ იყოს მიწის ეფექტური დამუშავება, განაცხადა საფარიანმა. თუ ეს ღონისძიებები განხორციელდება სრული მასშტაბით, სომხეთი შეძლებს რუსეთში გაზარდოს ექსპორტი 70-80 მილიონი აშშ დოლარით, განაცხადა მან. ArmStat-ის შესაბამისად, სომხეთის საგარეო ვაჭრობამ რუსეთთან 596 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ამ წლის პირველ ნახევარში, რაც 0,5%-ით ნაკლებია 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. სომხეთის ექსპორტი რუსეთში იყო დაახლოებით 133,9 მილიონი აშშ დოლარი, რაც 6,4% შემცირებას ნიშნავს. ამავდროულად, სომხეთში რუსეთიდან იმპორტი 462 მილიონი აშშ დოლარი იყო იმავე პერიოდში, რაც 1,4% ზრდას ნიშნავს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შემოიღო აკრძალვა გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტზე იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც სანქციები დაუწესეს რუსეთს უკრაინის გამო. ემბარგოს სიაში შედის ძროხის და ღორის ხორცი, ხილი, ფრინველი, ყველი და რძის ნაწარმი.

წყარო: Arka.am, 02.09.14

ყოფილი მინისტრის სირაქლემას ბიზნესი წარმატებით ვითარდება

სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილი მინისტრის არმენ მოვსისიანის, რომელიც ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველია, სირაქლემის ბიზნესი წარმატებით ვითარდება. „სარწმუნო ინფორმაციით, სირაქლემას ფერმა მდებარეობს სოფელ აგარაკში სიუნიკის რეგიონში. დაახლოებით 400-500 სირაქლემა იზრდება თემის ყოფილ დამხმარე მეურნეობაში". კომპანიის სახელწოდებაა AKVILON-M. AKVILON-M რეგისტრირებულია, როგორც ხორცის პროდუქტების მწარმოებელი, თუმცა ცნობილია, რომ ამ ეგზოტიკური ფრინველის ბუმბული, ტყავი და კვერცხი ასევე დიდად ფასობს მსოფლიოში.

28 აგვისტო, News.am

12 000 ტონა გარგარის მოსავალი აიღეს წელს სომხეთში

სომხეთში 12 000 ტონა გარგარის მოსავალი მიიღეს წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა განაცხადა პარასკევს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. „წლევანდელი გარგარის მოსავალი ნამდვილად ნაკლებია, ვიდრე წინა წელს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ 12 000 ტონას ავიღებთ," განაცხადა მან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ქვეყნის გარგარის მოსავლმა შეადგინა 88 800 ტონა 2013 წელს. კარაპეტიანმა განაცხადა, რომ წინასწარი მონაცემებით 1 792 ტონა გარგარის ექსპორტი განხორციელდა ამ წელს და 160 ტონა გაიყიდა საკონსერვო საწარმოებზე. მან განაცხადა, რომ გარგარის გადაჭარბებული მიწოდება იყო ბაზარზე 2013 წელს, ხოლო ამ წელს გარგარი იყო საკმარისი, მაგრამ ფასები ძალიან მაღალი იყო. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ 23 800 ტონა გარგარი გაიტანეს ექსპორტზე სომხეთიდან 2013 წელს. 30 მარტს დიდთოვლობამ დააზარალა ქვეყნის სოფლის მეურნეობა და კერძოდ გარგარის მოსავლის 80-90%.

წყარო: arka.am განთავსების თარიღი: 8/26/2014

სომხეთის თაფლის ექსპორტი მცირეა მიუხედავად დიდი მოთხოვნისა ევროკავშირში

მიუხედავად მაღალი მოთხოვნისა ევროკავშირის ბაზარზე, სომხური თაფლის ექსპორტი საკმაოდ დაბალია. Tert.am-თან საუბრისას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო

სურსათის უვნებლობის სამსახურის სპიკერმა განაცხადა, რომ მათ არ მიუღიათ ექსპორტზე მოთხოვნა მწარმოებლებისგან ჯერჯერობით. „იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რამდენიმე კილოგრამის ექსპორტი მოხდა პირადი მოხმარებისთვის, მაგრამ არცერთ კომპანიას აქამდე არ გაუკეთებია განაცხადი ექსპორტზე," განმარტა არმინ სუკიასიანმა. სომხეთს, რომელიც უკვე შედის იმ ქვეყნების სიაში, რომელსაც უფლება აქვს პროდუქცია საზღვარგარეთ გაიტანოს, ახლა შეუძლია თავისუფლად გაიტანოს თაფლი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. 21 აგვისტოს ევროკავშირის კომისიამ დაამტკიცა 2013 წელს სამსახურის მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია. არტემ მიქაელიანმა, მეფუტკრეობის კომპანიის Honey Town უფროსის მოადგილემ, განაცხადა, რომ იმედოვნებს სომხეთის თაფლის ექსპორტის გაფართოებას ბაზარზე. თუ ჩვენ სრულად უზრუნველვყოფთ ექსპორტს ევროპაში, მეფუტკრეობა განვითარდება სწრაფი ტემპით, სამჯერ გაიზარდება მეფუტკრეების რაოდენობა და ეს ხელს შეუწყობს სიღარიბის აღმოფხვრას, განსაკუთრებით სოფლებსა და სასაზღვრო რეგიონებში," განაცხადა მან. მიქაელიანმა დასძინა, რომ სერტიფიკატი, რომელიც სომხეთმა მიიღო ევროკავშირიდან, ასევე მოიცავს ფუტკრის ცვილის, ფუტკრის შხამის და ფუტკრის რძის ექსპორტს. „ჩვენ გვაქვს კონტრაქტი გერმანიასთან, ამიტომ ჩვენ ვაპირებთ ფუტკრის შხამის პირველი პარტიის ექსპორტს", აღნიშნა მან. კითხვაზე, არის თუ არა პროდუქტი კონკურენტუნარიანი, მიქაელიანმა განაცხადა, რომ მან იცის, რომ სომხეთის თაფლი კონკურენტუნარიანია ევროკავშირში. მან დასძინა, რომ კომპანია გეგმავს ფესტივალ-გამოფენას მეფუტკრეების პირველი პან-სომხური კონფერენციის ფარგლებში მომდევნო თვეში. ეს ღონისძიება ჩატარდება 12-14 სექტემბერს და შეკრებს მეფუტკრეებს სხვადასხვა ქვეყნებიდან პრობლემებისა და შესაძლებლობების და აუცილებელი ტექნოლოგიების გამოყენების განსახილველად, რაც ხელს შეუწყობს ფუტკრის პროდუქტების ექსპორტს ევროპაში.
25 აგვისტო, Tert.am

ოფიციალური მონაცემებით სომხეთში არის პროგრესი სოფლის მეურნეობაში
გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული სოფლის მეურნეობაში იმის მიუხედავად, რომ წელს იყო ბუნებრივი კატასტროფებით მიყენებული ზარალი, განაცხადა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა პრეს-კონფერენციაზე პარასკევს. ოფიციალური ცნობით, ქვეყნის მთლიანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია 2014 წლის იანვარ-ივლისში იყო 316,1 მლრდ დრამი, რაც 3,2% ზრდის მაჩვენებელია გასულ წელთან შედარებით. 2014 წლის იანვრიდან მაისამდე ზრდის მაჩვენებელი 5,4%-ია. დათესილი ტერიტორიების გაუმჯობესებული გამოყენება ამ წლის მიღწევებს შორისაა, განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ ნათესებმა 332,7 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც 14,6 ათასი ჰექტარით მეტია, ვიდრე იყო შარშან.
წყარო: Panorama.am, 22.08.14

სომხეთის ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 120 000 ტონამდე
წინასწარი მონაცემებით სომხეთში შეიძლება გაიზარდოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი 80-90 მილიონი დოლარით 2015-2016 წლებში, განაცხადა ადგილობრივი მწარმოებლების კავშირის უფროსმა ვაზგენ საფარიანმა. წინა წელს სომხეთში ექსპორტი სულ 60 000-62 000 ტონა ხილი და ბოსტნეული იყო. ამ წელს იქნება 64 000-65 000 ტონა, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა საფარიანმა ოთხშაბათს. საერთო რაოდენობამ უნდა მიაღწიოს 100 000-120 000 ტონას მომავალ წელს, რაც არის ზრდა 80-90 მილიონი დოლარით, განაცხადა ექსპერტმა. საფარიანმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის საპასუხო სანქციები შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის წინააღმდეგ 6,8-7 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ქმნის დამატებით ექსპორტის შესაძლებლობებს სომეხი მეწარმეებისთვის.
ერევანი, ARKA, 20.08.2014

სომხეთის ხორბლის მთლიანი მოსავალი 85,4%-ით გაიზარდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში

სომხეთის ხორბლის მთლიანი მოსავალი გაიზარდა თითქმის 156 000 ტონით, ან 85,4%-ით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში და მიაღწევს დაახლოებით 340 000 ტონას 2014 წელს, სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა განაცხადა მთავრობის სხდომაზე ხუთშაბათს. მიუხედავად პრობლემებისა, კარგი შედეგები იქნა მიღწეული სათესლე მეურნეობის პროგრამის განხორციელებისას, განაცხადა მინისტრმა. სათესლე პროდუქტიულობა გაუმჯობესდა 21,2 ცენტნერიდან ჰექტარზე 2010 წელს 32 ცენტნერამდე წელს, განაცხადა კარაპეტიანმა. გარდა ამისა, ნათესები გაიზარდა 29 300 ჰექტარით, ან 18,4%-ით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში და 188 600 ჰა არის, მაშინ როდესაც დაღმავალი ტენდენცია იყო 2010 წლამდე. პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული დაახლოებით 40 ფერმა ჩართულია თესლის წარმოებაში, განაცხადა მინისტრმა. მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა 2010-2014 წლების სათესლე მეურნეობების პროგრამა. თესლის გავრცელებისას პრიორიტეტი მიენიჭება სეტყვით დაზარალებულ თემებს.

ერევანი, 15 აგვისტო / ARKA

სომხეთის ღვინის ექსპორტი გაიზრდება 30 პროცენტით

სომეხი მეღვინეების კავშირის თავმჯდომარე ავაგ არუთინიანის პროგნოზით, 30 პროცენტიანი ზრდა მოხდება სომხეთის ღვინის ექსპორტში ამ წელს. გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ სომხური ღვინის ექსპორტი უკვე დაახლოებით 30 პროცენტით გაიზარდა ამ წელიწადში 2013 წლიდან და ეს ტენდენცია გაგრძელდება. მისი თქმით, სომხური ღვინოების ექსპორტის ზრდა გამოწვეულია მათი ხარისხის გაუმჯობესებით და მოთხოვნის ზრდით უცხოურ ბაზარზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, ბრენდის წარმოება 2014 წლის იანვარ-მაისში შემცირდა 11,1 პროცენტით 5,5 მილიონ ლიტრამდე. ამ პერიოდში ღვინის წარმოება შემცირდა 2,8%-ით დაახლოებით 2 მილიონ ლიტრამდე, ხოლო შამპანური ღვინოების წარმოება გაიზარდა 19 პროცენტით 115 500 ლიტრამდე და ლუდის წარმოებამ მკვეთრად მოიმატა 82 პროცენტით 8,3 მილიონ ლიტრამდე.

ერევანი, 25 ივლისი / ARKA

სომხეთი 2014 - მარცვლეულის წარმოება სავარაუდოდ შემცირდება

2014 წლის ზამთრის კულტურების (ძირითადად ხორბლის) მოსავლის აღება სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ თესვა დასრულდა ხელსაყრელი ამინდის პირობებში, ცივი და მშრალი ამინდის გავლენამ ზრდის სეზონზე უარყოფითად იმოქმედა განსაკუთრებით ქერის მოსავალზე. თუმცა, მთავრობის მხარდაჭერის ზომებმა, როგორიცაა სუბსიდირებული კრედიტი, საწვავის და მაღალი ხარისხის თესლის მიწოდება, აარიდა ქვეყანას შედეგების მკვეთრი შემცირება, იუწყება FAO. შედეგად, ხორბლის წარმოება 2014 წელს არ შეიცვლება გასულ წელთან შედარებით და იქნება 250 000 ტონა, თუმცა ქერის მოსავალი, სავარაუდოდ, შემცირდება 160 000 ტონამდე, ან 11 პროცენტით შარშანდელ რეკორდულ დონესთან შედარებით. საერთო ჯამში, სულ მარცვლეულის მოსავალი მოსალოდნელია, რომ იქნება 439 000 ტონა, რაც 4 პროცენტით ნაკლებია გასული წლის მოსავალზე, მაგრამ მაინც აღემატება წინა ხუთი წლის საშუალო მონაცემს. *http://www.blackseagrain.net/ 28.07.2014*

ტენდერები და განცხადებები

იყიდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მოქმედი პლანტაციები
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 850 ჰა სამეგრელოს, მარნეულის, ხაშურის და აჭარის რეგიონებში იყიდება. ამ მიწებიდან 120 ჰა აქტიურად გამოიყენება ნათესებისთვის ამჟამად.
ევკალიპტი - 20 ჰა,
დაფნა - 65 ჰა,
ლავანდა - 10 ჰა,
როზმარინი - 5 ჰა,
თხილი - 20 ჰა.
ასევე ჩვენი კომპანია ფლობს 5000 მ^2 სათბურებს, სანერგე მეურნეობას, ტრაქტორებს და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, 3x500 მ^2 საწყობს, 500მ^2 ქარხანას, ეთერზეთების დასამზადებელ ტექნიკას, 120 მ^2 საოფისე შენობას და ასევე სატვირთო მანქანებს. კომპანია ეძებს პოტენციურ ინვესტორებს, დაინტერესებულს კომპანიის შეძენით.
დაგვიკავშირდით: Sebastian *Potemkinsp@eog.ge*, ტელ.: +995 595 502920.

გამოცემები და სხვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი
ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2014 წლის აგვისტოს გამოცემას გაეცანით **ამ მისამართზე.**

http://agrogeorgia.blog.com/

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე. **link**

DWV Agro Blog
გთხოვთ იხილოთ ჩვენი **AGRO BLOG** სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია და გინდათ მისი გაზიარება AGRO BLOG-ზე, გამოაგზავნეთ მისამართზე agro@georgien.ahk.de